1205

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 26 თებერვალი, 1942 წ. № 49 (6365). ფასი 15 კაპ.

## წითელი არმიის გამარჯვების პირობები

წითელმა არმიამ, რომელსაც მთელი საბჭოთა ხალხი ეხმარება, მედგარ გმირულ ბრძოლებში გააცამტვერა სარეკლამო მითი ჰიტლერის გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ. ეს იყო ომის პირველი თვეების საქმე, როდესაც წითელი არმია ჯერ კიდევ იძულებული იყო უკან დაეხია, მაგრამ იმავე დროს ზედიზედ ურტყამდა მოწინააღმდეგეს...

...გერმანელთა ახალი შევსებანი თავიანთი ხარისხით გაცილებით უფრო დაბალ დონეზე დგანან. წითელმა არმიამ კი თავისი დივიზიები მედგარ და თავდადებულ ბრძოლაში გამოაწრთო, მან ბრძოლებში გამობრძმედა გვარდიის დივიზიები, მან აღზარდა გმირთა კადრები და ბრძოლაში სულ ახალ-ახალი რეზერვები გაჰყავს ჩვენი...

...რალოდ რომ ვთქვათ, ძარცვა.

ჰიტლერი და მისი ბანდა ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა ქვეყანას თავიანთი რიცხობრივი უპირატესობით სძლევდნენ. მათ უეცარი თავდასხმის უპირატესობა გამოიყენეს და ასობით დივიზია შემოგვისიეს. მაგრამ წითელმა არმიამ ჰიტლერის საუკეთესო დივიზიები გაწყვიტა, ჰიტლერის არმია მოჰქანცა, გერმანიის რეზერვები გამოლია.

...მაკების დიადი არმია, კოლმეურნეთა მრავალმილიონიანი ოჯახი, ჩვენი პატრიოტული საბჭოთა ინტელიგენცია — მთელი საბჭოთა ხალხი, თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებით აღფრთოვანებული, კიდევ უფრო მეტი ენერგიით იმუშავებს და იბრძოლებს, რათა მოახლოოს, დაამთავროს მტრის განადგურება.

„პრავდის“ მოწინავე, 25/II.

## მისალმება საბჭოთა ხალხისადმი

მ. ი. კალინინის სახელზე ტორონტოდან (კანადა) მიღებულია კანადაში მცხოვრებ სერბიელთა, ხორვატთა და სლოვენთა სათვისტომოს შემდეგი დეპეშა:

### პრეზიდენტ კალინინს

მოსკოვი

პატივცემულო მიხეილ ივანეს-ძევ! ...

...დოებამ კანადაში მცხოვრებ 15 ათას ჩვენს მემამულეთა შორის 35 ათასი ...

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 25 თებერვლის დილის ცნობა

24 თებერვლის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

* * *

სამხრეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა მებრძოლებმა უკანასკნელი 5 დღის განმავლობაში მოსპეს გერმანელთა 18 ტანკი, 11 ტყვიამფრქვევი, 11 ნაღმსატყორცნი, 30 ქვემეხი, 3 ავტომანქანა და 10 რადიოსადგური. გერმანელებმა 2.700 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით.

* * *

...სებმა მოიტანეს იერიშები, რომლებიც წარმატებით დამთავრდა. ჩვენ ძალიან დავზარალდით. ერთი ჩვენი ბატალიონი გარშემორტყმულია. რომ იცოდე რა ხდება იქ! ჩვენც დღედაღამ მოველით, რომ ჩვენს სოფელზე იერიშს მოიტანენ მოწინააღმდეგის ნაწილები, რომლებმაც ჩვენი ხაზი გაარღვიეს“.

* * *

ამას წინათ გერმანელ ეფრეიტორ რუდი ვილტშს დედა სწერდა ალტერბურგიდან: „წარსულ ორშაბათს ლიზა ზეიფერტმა ცნობა მიიღო, რომ მისი ოტო მოკლულია. გუშინ ...

## 25 თებერვლის საღამოს ცნობა

...გის ტყვიამფრქვევი, 4 ნაღმსატყორცნი, 600 ყუმბარა, 460 ნაღმი, 10 ათასი საზხნის ვაზნა, 30 ავტომანქანა და ფეხსაცმლის საწყობი.

* * *

ჩვენმა მესანგრეებმა, ამხ. კუზნეცოვის მეთაურობით, დასახლებულ პუნქტ ბ-ს რაიონში გერმანელთა აეროდრომზე შესვლა მოახერხეს, ააფეთქეს 110 ტონა ავიაბომბი და 103 ათასი ყუმბარა და ჩვენი ნაწილების განლაგებაში მოიტანეს 60 კასრი საწვავი და 1.500 ყუმბარა.

* * *

ორი ტანკის ეკიპაჟმა, ამხ. ცისის მეთაურობით, ორჯერ მიიტანა იერიში მტერზე სოფელ ლ-ში. ჩვენმა ტანკებმა ცეცხლით და მუხლუხებით მოსპეს მტრის 7 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 19 ტყვიამფრქვევი, დაზიანეს გერმანელთა 2 ტანკი და მწყობრიდან გამოიყვანეს რამდენიმე ათეული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

პარტიზანული რაზმი, რომელიც ამხ. ა-ს მეთაურობით მოქმედებს კალინინის ოლქის ...

...მოაქვს გერმანიისათვის.

* * *

კალინინის ოლქის კიროვის რაიონის სოფელ ბოლშიე კლოჩკიდან უკან დახევისას, ჰიტლერელმა ბანდიტებმა 27 ტყვე დაჭრილი წითელარმიელი დახვრიტეს.

* * *

ომსკის ოლქის მშრომელებმა წითელი არმიის XXIV წლისთავისათვის 2 აბანო-მატარებელი და 2 ჯავშნიანი მატარებელი ააგეს. 24 ვაგონისაგან შემდგარი სპეციალური ეშელონით ფრონტზე გაიგზავნა მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთათვის 18.630 ამანათი. ამანათებში არის თაფლი, შეწვარი ფრინველი, ხინკალი, ყველი, შაშხეული, ნამცხვარი, პაპიროსები, მაჯის საათები, სატუალეტო საგნები. გარდა ამისა, ომსკის ოლქის მშრომელებმა ჰოსპიტლებს გადასცეს საჩუქრები დაჭრილ მებრძოლთა და მეთაურთათვის.

## ამხანაგ სტალინის ბრძანება საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის ფრონტზე და ზურგში

### ბელადის მოწოდებას შრომის ნაყოფიერების გადიდებით უპასუხებენ

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის ახალ საამქროში, რომელიც სულ მეორე თვეა, რაც მუშაობს, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის ბრძანება წაიკითხა აგიტატორმა მარიამ კუკუმ. მუშები ყურადღებით ისმენდნენ ბრძანების ყოველ სიტყვას.

ბრძანების მოსმენის შემდეგ საამქროს მუშებს შორის მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. თავდაცვის სახალხო კომისრის მოწოდებას ისინი უპასუხებენ ერთსულოვანი გადაწყვეტილებით — მისცენ წითელ არმიას სულ მეტი და მეტი იარაღ-საჭურველი და ყველაფერი, რაც საჭიროა მუხანათი მტრის სრული განადგურებისათვის. სტახანოველმა ალექსანდრა რუბინმა, რომელმაც იანვრის გეგმა 195 პროცენტით შეასრულა, ვალდებულება აიღო, რომ მალე ორასოვანი გახდება. ასეთივე ვალდებულება აიღეს ლუბა ცოდაძემ და ელენე ბოკურავამ. ვართანუშ საკოეამ, რომელიც წარმოებაში მოვიდა ქმრის წითელ არმიაში გაწვევის შემდეგ, ვალდებულება აიღო, რომ მალე დაეუფლება თავის პროფესიას და ორასოვანი გახდება.

თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის ბრძანების საპასუხოდ ახალი ვალდებულებები აიღეს ქარხნის სხვა საამქროების მუშებმაც.

### თავდადებული შრომით დავაჩქაროთ გერმანელი ოკუპანტების განადგურება

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის აგიტატორებმა 24-25 თებერვალს შესვენების დროს მუშა-მოსამსახურეებს წაუკითხეს ამხანაგ სტალინის ბრძანება, რის შემდეგაც მოეწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მუშებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ამხანაგ სტალინის ბრძანება მთელი პროგრამაა ფაშისტ დამპყრობელთა საბოლოო განადგურებისათვის.

— ამხანაგ სტალინის ბრძანება,—სთქვა ამხ. ... ვების რწმენა. დღეიდან კიდევ უკეთესად ვიმუშავებ, რათა ჩემი შრომით ხელი შევუწყო ვერაგი მტრის განადგურებას. ჩვენი ბრიგადა წითელი არმიის სახელოვან გამარჯვებებს ფრონტზე უპასუხებს საწარმოო დავალების გადაჭარბებით შესრულებით.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა ამხანაგ სტალინის ბრძანების პასუხად იკისრა ახალი ვალდებულებები: ...

## უცხოეთის სახელმწიფო მოღვაწეთა მისალმებანი წითელი არმიის XXIV წლისთავის გამო

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ და თავდაცვის სახალხო კომისარმა ამხანაგმა **ი. ბ. სტალინმა** წითელი არმიის XXIV წლისთავის გამო საზღვარგარეთიდან მისალმებანი და მილოცვები მიიღო მეგობრული ... ზოგადო მოღვაწეთაგან ... ამხანაგი **სტალინის** მიერ ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწეებისაგან მიღებულ შემდეგ მისასალმებელ დეპეშებს.

### ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბ-ნ ფრანკლინ რუზველტისაგან:

„თქვენი არმიის წარმატებათა ამბავი ერთობ გვამხნევებს. მხურვალედ მოგილოცავთ წითელი არმიის შექმნის XXIV წლისთავის დღეს“.

...ცავთ ჩვენს სახელოვან რუს ამხანაგებს, რომლებსაც ასე მტკიცედ მიაქვთ იერიშები და ავიწროებენ გერმანელ დამპყრობთ. გისურ... დიად საქმეში. ჩვენ ერთად მივაღწევთ საბოლოო გამარჯვებას ჩვენს საერთო მტერზე“.

### სსრ კავშირში მყოფი ამერიკის მომარაგების მისიის უფროსის, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ბრიგადის გენერალ ფილიპ ფეიმონვილისაგან:

„ნება მიბოძეთ გულწრფელად მოგილოცოთ წითელი არმიის XXIV წლისთავი. წელს ამ დღესასწაულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ბრწყინვალე წინააღმდეგობის გამო, რაც წითელმა არმიამ გასწია მტრის შემოსევისაგან თავისი სამშობლოს დაცვის დროს. წითელი არმიის მიერ მოპოვებული გამარჯვებანი, რომაც აღტაცებაში მოიყვანა მსოფლიო, იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ ამ არმიას სერიოზული მომზადება აქვს, მას ბრძნულად ხელმძღვანელობენ მისი ბელადები, და იმის რწმენას იძლევა, რომ მომავალი გამარჯვებანი მისი სახელოვანი წარსულის ღირსი იქნება“.

## დარბაზობა საბჭოთა კავშირის ლონდონის საელჩოში წითელი არმიის 24 წლისთავის დღესასწაულის გამო

**ლონდონი,** 23 თებერვალი (საკდესი). 23 თებერვალს საბჭოთა კავშირის ლონდონის საელჩოში დარბაზობა გაიმართა წითელი არმიის XXIV წლისთავის გამო.

დარბაზობას დაესწრო 600-ზე მეტი სტუმარი, მათ შორის სამხედრო კაბინეტის წევრები, საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი, ბეჭდის მცველი ლორდ კრიპსი, შრომისა და ნაციონალური ბეგარის მინისტრი ბევინი და ლორდი—საბჭოს თავმჯდომარე ანდერსონი, აგრეთვე მთავრობის წევრები: საზღვაო მინისტრი ალექსანდერი, ავიაციის მინისტრი სინკლერი, კოლონიათა მინისტრი კრენბორნი, ვაჭრობის მინისტრი დალტონი, საავიაციო მრეწველობის მინისტრი ლეველინი, ინფორმაციის მინისტრი ბრეკენი, ფინანსთა მინისტრი კინგსლი ვუდი, სასურსათო მომარაგების მინისტრი ლორდი ვულტონი, შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების მინისტრი ჰერბერტ მორისონი, ომიანობის დროის ტრანსპორტის მინისტრი ლეზერსი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ერნსტ ბრაუნი და სხვები. გარდა ამისა, დაესწრნენ საზღვაო გენერალური შტაბის უფროსი—ადმირალი პაუნდი, იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი—გენერალი ბრუკი, სამხედრო-საჰაერო ძალთა შტაბის უფროსი—ავიაციის მარშალი ჩარლზ პორტალი და ინგლისის შეიარაღებულ ძალთა ბევრი სხვა უმაღლესი თანამდებობის პირი.

დაესწრნენ აგრეთვე ბელგიის, იუგოსლავიისა და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრები, გენერალი დე გოლი, რუზველტის პირადი წარმომადგენელი ჰარიმანი და მოკავშირეთა სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და საჰაერო შტაბების წევრები.

სტუმრებს შორის იყვნენ აგრეთვე ლოიდ ჯორჯი, ლორდი ბივერბრუკი, ლორდი სესილი, ინგლისის ტრედუნიონების კონგრესის გენერალური მდივანი სიტრინი და მრავალი სხვა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილ მოღვაწეთა შორის დარბაზობას დაესწრნენ მწერალი ჰერბერტ უელსი, მხატვარი დავიდ ლოუ და ბევრი სხვა.

ლონდონში მყოფმა საბჭოთა შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა მრავალი მილოცვა მიიღეს წითელი არმიის წლისთავისა და მიღწევების გამო.

## ამხ. გეგეშიძის დაჯილდოება

გაზეთ „კრასნი ფლოტის“ სევასტოპოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ შავი ზღვის ფლოტის სამხედრო საბჭომ ხელი მოაწერა ბრძანებას იმ ნაწილის მებრძოლთა და მეთაურთა დაჯილდოების შესახებ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, რომელსაც პოლკოვნიკი უიდილოვი მეთაურობს. სულ დაჯილდოებულია საზღვაო ქვეითი ჯარის 121 მებრძოლი და მეთაური. წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არის მეთაური **გეგეშიძე.**

ვ. ყარა-მურზა

## საქლესი უარჰყოფს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხალხმრავალი მიტინგი ლონდონში, მიძღვნილი წითელი არმიის XXIV წლისთავისადმი

ლონდონი, 23 თებერვალი (საქდესი). ლონდონის უდიდეს კინო-თეატრში სტოლ-თეატრში—შესდგა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა წითელი არმიის XXIV წლისთავის დღესასწაულს. მიტინგს დაესწრო 2.500 კაცი, ამასთან მსურველთა დიდი რაოდენობა ვერ მოხვდა ხალხით გაჭედილ დარბაზში. პრეზიდიუმში იყვნენ ინგლისში მყოფი საბჭოთა სამხედრო მისიის წევრები და ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ნორვეგიის, თავისუფალი საფრანგეთისა და ჩინეთის შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლები. დამსწრეებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს საბჭოთა სამხედრო მისიის წევრებს, რომლებიც კრებას წარუდგინა მიტინგის თავმჯდომარემ, გაზეთ „ივნინგ სტანდარტის" რედაქტორმა ფრენკ ოუენმა.

გახსნა რა მიტინგი, ოუენმა განაცხადა, რომ წითელი არმია უდიდეს ბრძოლას ეწევა თავისუფლებისათვის. ოუენმა სთქვა, რომ დამსწრენი მიესალმებიან სტალინს, საბჭოთა ხალხს, მამაც წითელ არმიას, მოსკოვის, ლენინგრადისა და სევასტოპოლის გარნიზონებს, აგრეთვე რუსეთის ქალაქებს, რომლებისათვის უცხოა სიტყვა „კაპიტულაცია". ოუენის ამ განცხადებას მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ ენტუზიაზმით აღსავსე სიტყვები წარმოსთქვეს მთელი რიგი მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლებმა. თავისუფალი საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა უფროსმა, გენერალმა ვალენმა ილაპარაკა ძველ ტრადიციულ მეგობრობაზე, რაც ფრანგ და რუს ხალხებს აერთებს, და მთელი ფრანგი ხალხის სახელით მიესალმა წითელ არმიას, რომელმაც შესძლო ლახვარი ჩაეცა გერმანიის მექანიზებული არმიისათვის და „აიძულებინა იგი ეგემნა დამარცხების მწარე „კერძი". იუგოსლავიის სამხედრო ატაშემ, გენერალმა რადოიჩიმ მიტინგს მოაგონა, რომ რუსი ხალხი ყოველთვის უჭერდა მხარს იუგოსლავიის ბრძოლას თავისუფლებისათვის და თავისი ხალხის სახელით შეჰპირდა, რომ იუგოსლაველები ყოველივე შესაძლებელს გააკეთებენ, რათა დაეხმარონ თავის საბჭოთა ძმებს პარტიზანული ბრძოლისა და ანტიგერმანული საბოტაჟის გაძლიერების გზით. ჩეხოსლოვაკიის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა გენერალმა ლუკაჩმა მტკიცე რწმენა გამოსთქვა რომ წითელი არმია გაიმარჯვებს მტერზე.—გაუმარჯოს წითელ არმიასა და წითელ ფლოტს!—შესძახა მან თავის სიტყვის დასასრულს.

პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა დაგდეილმა განაცხადა, რომ „საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმი აძლიერებს ინგლისელი ხალხის სიმტკიცეს". ცნობილმა ჟურნალისტმა ქალმა ჰილდა მერჩანტმა მოუწოდა ინგლისელ ქალებს მიჰბაძონ მრეწველობაში საბჭოთა ქალის გმირული მუშაობის მაგალითს.

ინგლისელმა გენერალმა ჰოფმა თავის სიტყვაში განაცხადა: ინგლისელები დავალებულნი არიან საბჭოთა კავშირისაგან იმით, რომ გერმანელები ინგლისში ვერ შემოიჭრნენ. ჰოფმა განაცხადა: მე, როგორც ჯარისკაცს, მრწამს წითელი არმიის გამარჯვება. „წითელი არმია,—სთქვა მან,—ეს არის დიადი არმია, რომელიც დიდ საქმეებს აკეთებს, რომელსაც საუცხოო ხელმძღვანელობას უწევენ, რომელსაც შესანიშნავი შტაბი ჰყავს, რომელიც ბრწყინვალე სიმტკიცითა და ინიციატივით განირჩევა".

გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" სამხედრო მიმომხილველმა, მაიორმა გრიბლმა სთქვა, რომ გერმანელთა ძირითადი შეცდომა მდგომარეობდა არა საბჭოთა მანქანების შეუფასებლობაში, არამედ საბჭოთა ხალხის შეუფასებლობაში.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ინგლისელმა სამხედრო მწერალმა, მაიორმა ჰუპერმა, პარლამენტის წევრმა, კონსერვატორმა, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰილმა და ცნობილმა ავსტრალიელმა ჟურნალისტმა ერიკ ბაუმმა.

მილოცვებს საბჭოთა სამხედრო მისიის სახელით მოკლე სიტყვით უპასუხა კონტრ-ადმირალმა ხარლამოვმა.

## დღესასწაული ფრონტზე

დასავლეთის ფრონტი, 24 თებერვალი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენი ფრონტის ჯარის ნაწილები წითელი არმიის XXIV წლისთავს შეხვდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში მიღწეული ახალი წარმატებებით. გერმანელებს განსაკუთრებით დიდი ზარალი მოსდით. მაგრამ ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, შეინარჩუნონ მათ მიერ წინათ მომზადებული გამაგრებული ზღუდეები. საბჭოთა მებრძოლები მზარდი შეტევითი აღტყინებით სძლევენ მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას და მას დასაყრდენი პუნქტებიდან მიერეკებიან.

დღესასწაულის წინა დღით მარტო ერთ პატარა უბანზე საბჭოთა მეომრებმა ათასზე მეტი ფაშისტი მოსპეს. უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებით ისახელეს თავი გვარდიელებმა. მათ ბევრჯერ მაგრად დაარტყეს მტერს. ერთ-ერთ სოფელს იცავდა ნ-ის გვარდიის ქვეგანაყოფი, რომელიც 45 კაცისაგან შესდგებოდა. 250 გერმანელ მევტომატეს განუწყვეტლივ მოჰქონდა კონტრიერიში ჩვენს პოზიციებზე. მეორე დღეს საღამოსათვის მტერი უკუგდებულ იქნა დიდი ზარალით, მან ბრძოლის ველზე თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 150-მდე გვამი დასტოვა. სხვა უბანზე ჩვენმა გვარდიელებმა სწრაფი იერიშით განდევნეს გერმანელები სოფლიდან და 100-ზე მეტი ფაშისტი მოსპეს. ნ-ის გვარდიის ნაწილის არტილერისტებმა ერთი დღის განმავლობაში თავისი მარჯვე ბათქებით მოსპეს 400-მდე მტრის ჯარისკაცი, მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 2 ტანკი, ნაღმსატყორცნი ბატარეა, რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო და მძიმე ქვემეხი.

წითელი არმიის XXIV წლისთავთან დაკავშირებით, ფრონტის ნაწილებში მოვიდნენ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა დელეგაციები. ფრონტისპირა ზოლებში ყოველ საათს მოდიან ეშელონები, რომლებსაც საჩუქრები მოაქვთ ფრონტელებისათვის. ერთი დღის განმავლობაში ფრონტელებს 17 ათასზე მეტი სადღესასწაულო საჩუქარი დაურიგეს.

უდმურტეთის ასს რესპუბლიკიდან მიღებულია 11 ვაგონი საჩუქარი, ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკის მშრომელებისაგან — 23 ვაგონი საჩუქარი.

წითელი არმიის XXIV წლისთავის დღეს დასავლეთის ფრონტის ჯარების სარდალმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, არმიის გენერალმა გ. კ. ჟუკოვმა, დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრმა ი. ს. ხოხლოვმა და დასავლეთის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსმა, ბრიგადის კომისარმა ვ. ე. მაკაროვმა ჯარებს მიმართეს მოწოდებით, რომელშიც ნათქვამია:

„დასავლეთის ფრონტის მეომრებო! თქვენ საკუთარი სისხლით დაიცავით მშობლიური მოსკოვი. თქვენ საფუძველი ჩაუყარეთ ჰიტლერის ურდოების განადგურებას და სასტიკი ლახვარი ჩაეცით ფაშისტ მხეცს. მაგრამ მტერი ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი. იგი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევს და ძალებს აგროვებს ახალი შემოტევისათვის.

ტყვილად არ დავკარგოთ არც ერთი წუთი, არც ერთი საათი, ზამთრის არც ერთი დღე, მაგრად გვეჭიროთ ხელში ინიციატივა. მთელს სიღრმეზე გაარღვიეთ მტრის თავდაცვის ხაზები, მოჰფანცეთ და გაანადგურეთ მისი კადრის დივიზიების ნაშთები და ახალი რეზერვები!"

დასავლეთის ფრონტის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის მიერ წითელი არმიის XXIV წლისთავთან დაკავშირებით გაცემულ ბრძანებას. საყვარელი ბელადისა და მხედართმთავრის ბრძანების საპასუხოდ ისინი ფიცსა სდებენ, რომ გაათკეცებული შეუპოვრობით გაანადგურებენ მტერს, არ დაზოგავენ თავის ძალებს და თვით სიცოცხლესაც კი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების დიადი და სამართლიანი საქმისათვის.

ი. გრიგოვი

## სულ უფრო და უფრო მაგრად ვურტყამთ მტერს

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 24 თებერვალი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ნ-ის ნაწილმა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, წითელი არმიის XXIV წლისთავი მტრისადმი მძლავრი მასირებული დარტყმებით აღნიშნა. მტერი გააფთრებულ კონტრიერიშებზე გადმოდის, ხშირად ახდენს საარტილერიო თავდასხმებს და ცდილობს თავის ზღუდეებზე გამაგრდეს. მაგრამ ამას იგი ვერ ახერხებს: ჩვენი მებრძოლები მტერს დასავლეთისაკენ მიერეკებიან და დიდ ზარალს აყენებენ. გუშინ დღისით და ღამით ჩვენმა ნაწილმა განდევნა ფაშისტები ოთხი დასახლებული პუნქტიდან, რომლებიც თავდაცვით სიმაგრეთა მთელი სისტემით იყო გარშემორტყმული. საბრძოლო მოქმედების 2 დღის განმავლობაში ნაწილის მებრძოლებმა მოსპეს 2.250 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 39 ტყვიამფრქვევი, 6 ნაღმსატყორცნი, 9 ქვემეხი, 240 შაშხანა, 80 ცხენი.

გუშინ ერთ-ერთ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ლეიტენანტმა ამხ. რუბცოვმა. მან თავის მებრძოლებიანად მოიგერია მტრის 5 [illegible] იერიში. მებრძოლნი იერიშზე გამოსულ მტრის მწკრივებს 100 მეტრზე მოუშვებდნენ და ცეცხლს დაუშენდნენ ხოლმე. ამრიგად მოსპობილ იქნა მტრის 500-მდე ჯარისკაცი.

№ ნაწილში, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ხინოვიევი მეთაურობს, შეაჯამეს წითელი არმიის XXIV წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი საბრძოლო შეჯიბრების შედეგები. თებერვლის 20 დღის განმავლობაში ნაწილმა მოსპო 3.220 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდო 150-ზე მეტი ავტომანქანა, 130-მდე ქვემეხი, 8 ტანკი, 80 მოტოციკლი. მეთაურთა თანამდებობაზე დაწინაურებულია 100-ზე მეტი წითელარმიელი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბრძოლაში.

მებრძოლებს ესტუმრა ბაშკირეთის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციამ მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს ჩამოუტანა ბაშკირეთის მშრომელთა 18 ვაგონი სხვადასხვა საჩუქარი და მრავალი წერილი.

ზ. ლიპავსკი

## „ახალგაზრდა კომუნისტები"

გაზეთ „კრასნი ფლოტის" 21 თებერვლის ნომერში ამ სათაურით მოთავსებულია № ნაწილის პარტბიუროს მდივნის ამხ. გორიუმოვის წერილი.

საომარი მოქმედების დროს,—ნათქვამია წერილში,—№ ნაწილის პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს შედეგია დიდი აღმზრდელობითი მუშაობისა, რასაც ნაწილის პარტბიურო ახალგაზრდა კომუნისტებთან ეწევა. პარტბიუროს წევრები საუკეთესო მფრინავთა გამოცდილების პოპულარიზაციით კომუნისტებს გამბედაობისა და სიმამაცის მაგალითებზე ზრდიან. პარტიაში მიღებულნი პიშულინი, პისაოვსკი, შენგელია და სხვები მფრინავთა მთელ შემადგენლობას მაგალითს უჩვენებენ. მათ არა ერთი ათეული საბრძოლო გაფრენა აქვთ. ყველა მათგანი პარტიაში ომის პერიოდში შევიდა. თავიანთ განცხადებებში ისინი ფიცსა სდებდნენ, რომ ღირსეულად ატარებდნენ კომუნისტის მაღალ სახელწოდებას და გაამართლებდნენ მას ბრძოლაში. ახალგაზრდა ბოლშევიკებმა ეს ფიცი შეასრულეს. ისინი ულმობლად სპობენ მტერს, ანადგურებენ მის ცოცხალ ძალასა და საბრძოლო ტექნიკას.

ერთხელ შენგელიას თვითმფრინავი ქვეგანაყოფის შემადგენლობაში მიდიოდა საბრძოლო ოპერაციის შესასრულებლად. ბომბდამშენები მიზანს რომ უახლოვდებოდნენ, მათ მოეგებნენ მტრის ავიაგამანადგურებლები. გაიმართა საჰაერო ბრძოლა. შენგელიამ ეკიპაჟს გადასცა: „აუცილებლად უნდა გავიჭრათ მიზნისაკენ". მიზანი იყო ფრონტისაკენ მიმავალი მტრის კოლონა. ავიაგამანადგურებლები განუწყვეტლივ ულობავდნენ გზას ჩვენს თვითმფრინავებს. მტრების რამდენიმე იერიში მოგერიებულ იქნა, მაგრამ ისინი არ ცხრებოდნენ, კვლავ უტევდნენ შენგელიას თვითმფრინავს. ერთმა ავიაგამანადგურებელმა ფლანგიდან მოუარა და ცდილობდა კურსი დაეკარგვინებინა ჩვენი თვითმფრინავისათვის. მოხერხებული მანევრირებით შენგელია განაგრძობდა ფრენას მიზნისაკენ. მსროლელმა—რადისტმა ფუბანოვმა რამდენჯერმე დაუშინა მტერს ტყვიამფრქვევი. მტრის თვითმფრინავი ცეცხლის ალში გაეხვია და ჩამოვარდა. შენგელიას თვითმფრინავი მივიდა მიზანთან, გაარღვია საზენიტო ცეცხლის ფარდა, შტურმანმა კონდრაშკოვმა ზუსტად დააყარა ბომბები მიზანს. ჰაერში ავარდა ქვემეხების, მანქანების ნამსხვრევები, გერმანელ ჯარისკაცთა გვამები. დავალება შესრულებულ იქნა. ეკიპაჟი ბაზაში დაბრუნდა.

ახალგაზრდა კომუნისტები ასე იხდიან თავის ვალს სამშობლოს წინაშე.

ვ. ყარა-მურზა

## სამედიცინო დაწესებულებათა აღდგენა განთავისუფლებულ რაიონებში

კალინინის, ორიოლისა და კურსკის ოლქების რაიონებსა და ქალაქებში, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან, ამჟამად სამედიცინო-სასანიტარო ქსელის აღდგენა მიმდინარეობს.

ქალაქ კალინინში ავადმყოფთა მისაღებად მომზადებულია რამდენიმე ასეული საწოლი, გახსნილია 3 ამბულატორია, 7 საბავშვო ბაგა, ქალთა 2 და ბავშვთა 1 კონსულტაცია, სასწრაფო დახმარების საქალაქო სადგური და საოლქო სასანიტარო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია. რაიონებში მუშაობა განაახლა 5 საავადმყოფომ და 11 ამბულატორიამ.

ორიოლის ოლქში საავადმყოფოთა აღდგენას აქტიურად ეხმარება მოსახლეობა. სრულიად უვნებლად დააბრუნეს საავადმყოფოთა იმ ქონების დიდი ნაწილი, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეინახეს ჰიტლერელთა შემოსევის დროს. რაიონებში უკვე გახსნილია აფთიაქები და საავადმყოფოებში მომზადებულია 1.400 საწოლი. მიმდინარეობს 4 წლამდე ასაკის ობოლ ბავშვთა სახლის მოწყობა.

კურსკის ოლქის გათავისუფლებულ რაიონებში მუშაობას იწყებენ სამედიცინო-სასანიტარო დაწესებულებანი. თებერვლის დამლევისათვის აქ აღდგენილი იქნება ბავშვთა ყველა კონსულტაცია, სარძეო სამზარეულოები, სანიტარული, საფერშლო და სამეანო პუნქტები.

## რუზველტის გამოსვლა რადიოთი

ნიუ-იორკი, 24 თებერვალი (საქდესი). გუშინ ვაშინგტონის დაბადების დღის გამო რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა რუზველტმა.

— ახლანდელი დიადი ბრძოლა გვასწავლის,—განაცხადა რუზველტმა,—რომ პიროვნების თავისუფლება, საკუთრების უშიშროება ყველგან, მთელს მსოფლიოში, დამოკიდებულია უფლებათა, თავისუფლებისა და სამართლიანობის დაცვაზე მთელს მსოფლიოში. ახლანდელი ომი ახალი სახის ომია. იგი წარსულის ყველა სხვა ომისაგან განსხვავდება არა მარტო მეთოდებითა და იარაღით, რომელთა საშუალებითაც სწარმოებს ომი, არამედ თავისი გეოგრაფიული პირობებითაც. ეს არის ომი, რომელიც სწარმოებს ყოველ კონტინენტზე, ყოველ კუნძულზე, ყოველ ზღვაში, მსოფლიოს ყოველ საავიაციო ხაზზე.

ვრცელი ოკეანეები, რომლებზედაც წინათ ლაპარაკობდნენ, როგორც თავდასხმისაგან ჩვენს დაცვაზე, ბრძოლების უსაზღვრო ველებად გადაიქცნენ. ამ ვრცელ სივრცეებზე ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რათა დავიცვათ ჩვენი მომარაგების ხაზები და ჩვენს მოკავშირეებთან შემაერთებელი კომუნიკაციების ხაზები—რათა დავიცვათ ეს ხაზები მოწინააღმდეგისაგან, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, განუწყვეტლივ ცდილობს ამ ხაზების გადაჭრას. ჰიტლერელთა და იაპონელთა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთს ჩამოაშორონ შეერთებული შტატები, ინგლისი, ჩინეთი და რუსეთი, რათა გარს შემოერტყნენ და მოსწყვიტონ ისინი მომარაგებისა და მათი ძალების შევსების წყაროებს. „დაანაწილე" — ასეთია ძველი, კარგად ცნობილი პოლიტიკა ღერძის სახელმწიფოებისა.

კომუნიკაციების ოთხი ძირითადი ხაზი, რომლებსაც ამჟამად მომსახურებას უწევენ ჩვენი გემები, ჩრდილოეთ ატლანტიკაში, სამხრეთ ატლანტიკაში, ინდოეთის ოკეანესა და წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ამ გზებით ტვირთი იგზავნება ორივე მიმართულებით. გემები, რომლებსაც ჯარი გადაჰყავთ და საომარი მასალა გადააქვთ, ნედლეულით ბრუნდებიან, რომელიც საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გვესაჭიროება. ამ სასიცოცხლო გზების შენარჩუნება მეტად მძიმე ამოცანას წარმოადგენს. იგი მოითხოვს უდიდეს რესურსებს და, უწინარეს ყოვლისა, თვითმფრინავების, ტანკების, ქვემეხებისა და გემების უდიდეს წარმოებას. მე კვლავ ამერიკელი ხალხის სახელით ვლაპარაკობ, როცა ვაცხადებ, რომ ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ და კიდევაც შევასრულებთ ამ ამოცანას.

ამ გზების დიდი მანძილისა და სიძნელის მიუხედავად, მე შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ უკვე მოგვეპოვება დიდძალი ბომბდამშენი და გამანადგურებლები ამერიკელი მფრინავებიანად, რომლებიც ამჟამად წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში განუწყვეტლივ იღებენ მონაწილეობას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო ათასობით ამერიკელი ჯარისკაცი ამ რაიონში ამჟამად საომარ ოპერაციას ახორციელებს არა მარტო ჰაერში, არამედ ხმელეთზეც. ბრძოლის ამ რაიონში იაპონიას, უეჭველია, ჰქონდა თავდაპირველი უპირატესობა, რადგან მან გამოიყენა მისთვის მისაწვდომი მრავალი პლაცდარმი, წყნარი ოკეანის მრავალი კუნძულის ბაზები, აგრეთვე ჩინეთის, ინდო-ჩინეთის, ტაისა და მალაიის სანაპირო და შესძლო მცირე რადიუსის მოქმედების თვითმფრინავები გადაეგზავნა თავდასხმის პუნქტებისაკენ. იაპონელთა ჯარები და ტრანსპორტები იაპონიიდან და ჩინეთიდან სამხრეთისაკენ შეიძლებოდა გაეგზავნათ ჩინეთის ვიწრო ზღვით, რომლის დაცვაც იაპონელთა თვითმფრინავებს მთელ მის მანძილზე შეეძლოთ. ფილიპინის კუნძულები ჯერ კიდევ ომის დაწყებამდეც კი გარშემორტყმული იყო იაპონელების მიერ სამი მხრიდან. დასავლეთით იაპონელების ხელში იყო ჩინეთისა და ინდო-ჩინეთის სანაპირო, რომელიც მას ვიშის საფრანგეთმა დაუთმო. ჩრდილოეთით კუნძულები მდებარეობს, რომლებიც თვითონ იაპონელებს ეკუთვნით და თითქმის ჩრდილოეთ ლუსონამდე აღწევს. აღმოსავლეთით სამანდატო კუნძულებია, რომლებიც მხოლოდ-მხოლოდ იაპონელებს უკავიათ და რომლებიც იაპონელებმა, სავსებით დაარღვიეს რა თავიანთი ვალდებულებანი, გაამაგრეს. ასობით ეს კუნძული რუკების მეტ ნაწილზე ნაჩვენებია, როგორც პატარა წერტილები, მაგრამ მათ დიდი სტრატეგიული რაიონი უკავიათ. მათ შორის მდებარეობს გუამის კუნძული, როგორც განმარტოებული ავანპოსტი, რომელიც ჩვენ არასოდეს არ გაგვიმაგრებია.

ვაშინგტონის 1921 წლის ხელშეკრულების შესაბამისად, ჩვენ საქვეყნოდ ვიკისრეთ ვალდებულება არ გაგვეფართოებინა სიმაგრენი ფილიპინის კუნძულებზე. იქ ჩვენ არ მოგვეპოვებოდა სამხედრო-საზღვაო ბაზა, რომელსაც საშიშროება არ მოელოდა, და, ამრიგად, ეს კუნძულები ვერ გამოვიყენეთ ფართო სამხედრო-საზღვაო ოპერაციებისათვის. ამ ომის დაწყებისთანავე იაპონელთა ჯარები ფილიპინების ორივე მხარეზე დაიძრნენ სამხრეთის მრავალი პუნქტისაკენ და, ამრიგად, სავსებით გარს შემოერტყნენ კუნძულებს ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. სწორედ ამ სრულმა გარშემორტყმამ და ჰაერში იაპონელთა სახმელეთო თვითმფრინავების მიერ დაწესებულმა კონტროლმა საშუალება არ მოგვცა მნიშვნელოვანი მაშველი ცოცხალი და მატერიალური ძალები გაგვეგზავნა ფილიპინების სახელოვანი დამცველებისათვის. 40 წლის განმავლობაში აუცილებლობით გამოწვეული ჩვენი სტრატეგია იმაში მდგომარეობდა, რომ კუნძულებზე იაპონიის ფართო თავდასხმის შემთხვევაში ბრძოლა დაგვეწყო მტრის წინსვლის შესაყოვნებლად და ვცდილიყავით ნელნელა დავეხია ბატაანის ნახევარ კუნძულზე და კორეგიდორზე.

ჩვენ ვიცოდით, რომ ომი იწარმოებდა და მოგებული იქნებოდა თვითონ იაპონიაზე მიძალების გზით. ჩვენ ვიცოდით, რომ, რაკი დიდი რესურსები გვაქვს, ჩვენ შეგვიძლია ვძლიოთ იაპონია და საბოლოო ანგარიშით დავამარცხოთ იგი ზღვაში, ხმელეთზე და ჰაერში. ყოველივე იმან, რაც ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მოხდა, ვერ გვაიძულა გადაგვესინჯა ეს ძირითადი სტრატეგია. ჩვენ იაპონიას სულ უფრო-დაუფრო ძვირად ვუსვამთ იმ პატივმოყვარე ცდას, რომელიც მიზნად ისახავდა ხელში ჩაეგდო კონტროლი აზიის მთელი სამყაროს მიმართ. პირლ ჰარბორზე თავდასხმის შედეგები, მთელი მათი სერიოზულობის მიუხედავად, მეტისმეტად გაზვიადებული იყო. თავდაპირველად ეს გაზვიადება ღერძის სახელმწიფოთა პროპაგანდისტებისაგან გამომდინარეობდა. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა განვაცხადო, რომ იგი ამერიკელებმაც გაიმეორეს.

ამერიკელ ხალხს ესმის, რომ ბევრ შემთხვევაში არ შეიძლება საომარი ოპერაციების შესახებ დაწვრილებითი ცნობების გამოქვეყნება მანამდე, სანამ აბსოლუტურად დარწმუნებული არ ვიქნებით, რომ ასეთი ცნობა მტერს არ მიაწვდის სამხედრო მნიშვნელობის ინფორმაციას, რომელიც მას ჯერ კიდევ არ მოეპოვება.

ხმებისა და ბოროტი ცნობების სამეფოდან ფაქტების სფეროში რომ გადავიდეთ, იმისათვის უნდა აღინიშნოს, რომ 7 დეკემბერს პირლ ჰარბორზე თავდასხმის დროს დახოცილ ჩვენ ოფიცერთა და ჯარისკაცთა რიცხვი 2.340 კაცს შეადგენდა, ხოლო დაჭრილთა რიცხვი — 946 კაცს. პირლ ჰარბორში იდგა საომარი გემები — სახაზო გემები, მძიმე კრეისერები, მსუბუქი კრეისერები, ავიანოსნები, საესკადრო ნაღმოსნები და წყალქვეშა ნავები; ამათგან საბოლოოდ მხოლოდ სამი გემი გამოიყვანეს მწყობრიდან. წყნარი ოკეანის ფლოტის ბევრი გემი პირლ ჰარბორში არც კი ყოფილა. ის გემები, რომლებიც პირლ ჰარბორში იდგნენ და დაზიანეს, ან უკვე ჩადგნენ მწყობრში, ან და მათი რემონტი მიმდინარეობს. როდესაც რემონტი დამთავრდება, გემები წინანდელზე უფრო ეფექტიანი საომარი ერთეულები იქნებიან. ცნობა იმის შესახებ, ვითომც პირლ ჰარბორში ათასზე მეტი თვითმფრინავი დაგვეკარგოდეს, ისევე მოკლებულია საფუძველს, როგორც სხვა უცნაური ხმებიც. იაპონელებმა ზუსტად არ იციან, რამდენი თვითმფრინავი მოსპეს იმ დღეს, მე კი განზრახვა არა მაქვს მათ ეს ვაცნობო, მაგრამ შემიძლია მტკიცედ განვაცხადო, რომ დღემდე, თუ მხედველობაში მივიღებთ პირლ ჰარბორზე იაპონელთა თავდასხმის დროს მოყენებულ ზარალს, ჩვენ გაცილებით მეტი თვითმფრინავი მოვუსპეთ იაპონელებს, ვიდრე მათ ჩვენ მოგვისპეს.

უეჭველია, ჩვენ გარკვეული ზარალი მოგვივიდა ატლანტიკაში ჰიტლერის წყალქვეშა ნავების მოქმედებით, ისევე როგორც წყნარ ოკეანეში იაპონელთა წყალქვეშა ნავების ოპერაციების შედეგად, და მომავალშიც მოგვივა ზარალი მანამდე, სანამ გარდატეხას არ ვუზრუნველვყოფთ ომის მიმდინარეობაში. მაგრამ ნება მომეცით ამერიკის შეერთებული შტატების სახელით ერთხელ და სამუდამოდ განვუცხადო მთელი მსოფლიოს ხალხებს: ჩვენ, ამერიკელები, იძულებული გავხდით ტერიტორია დაგვეთმო, მაგრამ მას დავიბრუნებთ.

ჩვენ და სხვა გაერთიანებულმა ქვეყნებმა ვალდებულება ვიკისრეთ მოვსპოთ იაპონიისა და გერმანიის მილიტარიზმი. ჩვენ ყოველდღიურად ვზრდით ჩვენს ძალებს. მალე ჩვენ დავიწყებთ შეტევას და არა ჩვენი მტრები. საბოლოო ბრძოლებს ჩვენ მოვიგებთ და არა ისინი; საბოლოო ზავს ჩვენ ჩამოვაგდებთ და არა ისინი. ევროპის დამონებულმა ქვეყნებმა იციან, თუ რას ნიშნავს ფაშისტების უღელი. ხოლო კორეისა და მანჯურიის ხალხებმა საკუთარი გამოცდილებით იციან, თუ რას წარმოადგენს იაპონიის დესპოტიზმის სისასტიკე. აზიის ყველა ხალხმა იცის, რომ ყოველი მათგანის, აგრეთვე ჩვენი საპატიო და შესაფერისი მომავლის შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, რომ გაერთიანებულმა ქვეყნებმა გაიმარჯვონ ღერძის სახელმწიფოთა ძალებზე, რომლებიც დამონებისაკენ მიისწრაფვიან.

გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ თითქმის უკვე მიაღწიეს თვითმფრინავების, ქვემეხებისა, ტანკებისა და გემების გამოშვების დარგში თავიანთი შესაძლებლობის ზღვარს. გაერთიანებული ქვეყნები ჯერ კიდევ შორს არიან ამისაგან, და განსაკუთრებით ეს შეეხება შეერთებულ შტატებს. ამიტომ ჩვენი უპირველესი ამოცანაა გავაფართოოთ წარმოება ისეთი ოდენობით, რომ გაერთიანებულმა ქვეყნებმა კონტროლის შენარჩუნება შესძლონ ზღვაში და უპირატესობას მიაღწიონ ჰაერში — და არა მარტო უმნიშვნელო, არამედ დიდ უპირატესობასაც. მიმდინარე წლის 6 იანვარს მე დავსახე ზოგიერთი გარკვეული ამოცანა თვითმფრინავების, ტანკების, ქვემეხებისა და გემების წარმოების დარგში. ღერძის სახელმწიფოთა პროპაგანდისტები ამას ფანტასტიკურ ციფრებად სთვლიდნენ. დღეს, ჩემი განცხადების თითქმის 2 თვისა და წარმოების მიმდინარეობასთან გულმოდგინედ გაცნობის შემდეგ, შემიძლია განვაცხადოთ, რომ ეს ამოცანები შესრულებული იქნება.

ჩვენი ქვეყნის ყველა ნაწილში წარმოების სპეციალისტები, აგრეთვე რიგითი მამაკაცები და ქალები სიყვარულითა და ერთგულებით მუშაობენ საწარმოებში. მუშებს, მეწარმეებსა და ფერმერებს, მცირე გამონაკლისს გარდა, ესმით, რომ ამჟამად არ არის იმის დრო, რომ უზომო მოგებას გამოეკიდონ, ან იმას ცდილობდნენ, რომ ერთმა მეორესთან შედარებით სპეციალური უპირატესობანი მოიპოვოს. ჩვენ მოვუწოდებთ — აგებულ იქნას ახალი, გაფართოებულ იქნას ძველი და ხელახლად მოწყობილ იქნას არსებული საწარმოები ომის საჭიროებისათვის. ჩვენ ვცდილობთ რაც შეიძლება მეტ მამაკაცსა და ქალს მოვუყაროთ თავი ამ საწარმოებში სამუშაოდ. ჩვენ მუშაობის ხანგრძლივობა გავადიდეთ. ჩვენ უკვე გვესმის, რომ ერთ დამატებითს თვითმფრინავს, დამატებითს ტანკს, ქვემეხს ან გემს, რომლებსაც ხვალ გამოვუშვებთ, შეუძლია უახლოეს თვეებში შესცვალოს ომის მიმდინარეობა რომელიმე შორეულ ფრონტზე, შეუძლია თავიდან აიცილოს სიკვდილი და სიცოცხლე შეუნარჩუნოს ფრონტზე მყოფ ზოგიერთ ჩვენს ჯარისკაცს. ახლა ჩვენ ვიცით: ეს ომი რომ წაგვეგოთ, თაობანი ჩაივლიან, საუკუნეებიც გავა მანამდე, სანამ დემოკრატიის ჩვენი კონცეპცია კვლავ აღორძინდებოდეს. ხოლო ეს ომი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში წავაგოთ, თუ ჩვენს მუშაობას შევანელებთ, თუ საომარი მასალის წარმოებას შევამცირებთ ურთიერთ ბრძოლის გამო. ჩვენ გვაქვს 3 კეთილშობილური მიზანი: 1) არ უნდა შევწყვიტოთ მუშაობა არც ერთ დღეს. თუ რაიმე კონფლიქტი აღმოცენდება, წარმოებაში მუშაობა წინანდებურად უნდა განვაგრძოთ მანამდე, სანამ კონფლიქტი გადაწყდებოდეს შუამავლის ან არბიტრაჟის შემწეობით. ასე უნდა მოვიქცეთ სრულ გამარჯვებამდე. 2) არ უნდა მოვითხოვოთ სპეციალური სარგებლიანობა, პრივილეგიები ან უპირატესობანი ერთი რომელიმე ჯგუფისა ან პროფესიისათვის. 3) უნდა დავთმოთ მყუდროება და უნდა შევცვალოთ ჩვეულებრივი ჩვენი ცხოვრება, თუ კი ამას ჩვენი ქვეყანა მოგვთხოვს. ეს ხალისით უნდა შევასრულოთ, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ საერთო მტერი ცდილობს მოსპოს ყველა სახლი და ყველა თავისუფლება ჩვენი ქვეყნის ყველა ნაწილში.

ახლანდელი თაობის ამერიკელებმა ანგარიში უნდა გაუწიონ დღევანდელ მდგომარეობას და უნდა შეიგნონ, რომ არსებობს რაღაც მეტი და უფრო მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე რომელიმე ცალკეული პიროვნების ან რომელიმე ცალკეული ჯგუფის [illegible], არსებობს რაღაც ისეთი რამ, რის გულისთვისაც ადამიანმა უნდა გაიღოს მსხვერპლი და სიხარულით გასწიროს არა მარტო თავის სიამოვნება, არა მარტო თავისი დოვლათი, არა მარტო თავისი კავშირი იმათთან, ვისთანაც იგი ცხოვრობს, არამედ თავისი სიცოცხლეც. კრიზისის პერიოდში, როდესაც მომავალი სასწორზეა, ჩვენ სავსებით და პატიოსნად უნდა შევიგნოთ, თუ რას წარმოადგენს ჩვენი ქვეყანა და რა მოვალეობა გვაკისრია მის წინაშე.

— გაერთიანებული ქვეყნები, — განაცხადა რუზველტმა,—წარმოადგენენ იმ დამოუკიდებელ ხალხთა კავშირს, რომლებიც თანასწორნი არიან თავიანთი ღირსებითაც და თავიანთი დანიშნულებითაც. გაერთიანებული ქვეყნები საერთო საქმის ერთგულნი არიან. მათ ომის საშინელი ტვირთის თანაბარი ნაწილი აწევთ და ამ ტვირთს თანაბარი გულმოდგინეობით იტანენ. ჩვენი საერთო საქმის თანამეგობრობაში ჩვენი წილი უნდა გვქონდეს გაერთიანებულ გეგმაში, რომლის განხორციელებაშიც თითოეულმა ჩვენგანმა თავისი როლი უნდა შეასრულოს. თითოეული ჩვენგანი თანაბრად საჭიროა სხვებისათვის და თანაბრად დამოკიდებულია ერთიმეორისაგან.

ჩვენ სარდლობა გავაერთიანეთ და თანამშრომლობა და ამხანაგური ურთიერთობა დავამყარეთ. ჩვენ, ამერიკელები, ხელს შევუწყობთ გაერთიანებულ წარმოებას და ერთობლივად გავიღებთ მსხვერპლს ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად. ეს ნიშნავს ნაციონალურ ერთობას, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი ზღვარი, რასაც წარმოშობს რასის ინტერესები, რწმენა ან ეგოისტური მოსაზრებანი. ჩვენ, გაერთიანებული ქვეყნები, შეთანხმებული ვართ ზოგიერთ საერთო პრინციპზე იმის შესახებ, თუ რა ხასიათისა იქნება მსოფლიო, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით. ატლანტის ქარტია შეეხება ქვეყნიერების არა მარტო იმ ნაწილებს, რომლებიც ატლანტის ოკეანეს ესაზღვრებიან, არამედ მთელ მსოფლიოს: აგრესორთა განიარაღება, ერთა და ხალხთა თვითგამორკვევა და ოთხი თავისუფლების—სიტყვის თავისუფლების, სინიდისის თავისუფლების, გაჭირვებისაგან თავისუფლების და შიშისაგან თავისუფლების უზრუნველყოფა. ინგლისელმა და რუსმა ხალხებმა კარგად იციან ფაშისტთა თავდასხმის მთელი სიმძიმე. იყო დრო, როდესაც ლონდონისა და მოსკოვის შემდგომი ბედი სერიოზულად ეჭვქვეშ დგებოდა, მაგრამ არასოდეს ოდნავი ეჭვიც კი არ წარმოშობილა იმის შესახებ, რომ ინგლისელები ან რუსები მტკიცე ნებისყოფით არიან აღჭურვილი—განაგრძონ ბრძოლა. და დღეს ყველა გაერთიანებული ქვეყნები მიესალმებიან რუსეთის საუცხოო არმიას მისი XXIV წლისთავზე.

ჰოლანდიელი ხალხი კვლავ მედგრად და გააფთრებით იბრძვის თავის ზღვისიმიერ სამფლობელოებში იმის მიუხედავად, რომ მისი სამშობლო მტრებმა დაიპყრეს. დიდ ჩინელ ხალხს სერიოზული ზარალი მოუვიდა. ჩუნცინი თითქმის მიწასთან გაასწორეს, მაგრამ იგი უძლეველი ჩინეთის დედაქალაქად რჩება. აი ის გამარჯვების სულისკვეთება, რომელიც ამ ომის დროს სუფევს გაერთიანებულ ქვეყნებს შორის.

ჩვენ, ამერიკელებს, ამჟამად წინ გვიძევს ისეთი ამოცანა, როდესაც ყველა ჩვენი თვისებების გამოცდა ხდება. წინათ ჩვენ არასოდეს არ დაგვჭირებია ასეთი ღონისძიებანი. ასე ცოტა ხანში ესოდენ ბევრი გასაკეთებელი წინათ არასოდეს არა გვქონია. იმ დროს, როდესაც ვაშინგტონის ჩამოგლეჯილ ჯარისკაცთა მცირე არმია უკან იხევდა ნიუ-ჯერსის მინდვრებში და მხოლოდ დამარცხების სიმწარეს განიცდიდა, ტომ პაინმა კოცონის შუქზე თავის დოლს დააწერა შემდეგი სიტყვები, რომლებიც გენერალ ვაშინგტონის ბრძანებით წაკითხულ იქნა მისი არმიის ყველა პოლკში და რომლებმაც მამაცობის სული შთაბერეს ჯარისკაცებს: „საპარადო ჯარისკაცი და სიტყვით პატრიოტი ამ კრიზისის პერიოდში შეეცდება თავი დააღწიოს თავის ქვეყანაში სამსახურს, მაგრამ ვინც თავისი ქვეყნის ერთგული აღმოჩნდება, იგი ღირსია მთელი ხალხის სიყვარულისა და მადლობისა. ტირანია, ისევე როგორც ჯოჯოხეთი, დამარცხება ადვილი როდია, მაგრამ ჩვენ ერთი ნუგეში გვაქვს—რაც უფრო მძიმეა მსხვერპლი, მით უფრო მშვენიერია გამარჯვება". ასე ამბობდნენ ამერიკელები 1776 წელს. ასე ამბობენ ამერიკელები ამჟამად.

## საბერძნეთში გერმანელი და იტალიელი ოკუპანტები კინკლაობენ

სტამბოლი, 23 თებერვალი (საქდესი). როგორც საბერძნეთთან დაკავშირებული უცხოელთა წრეები იუწყებიან, საბერძნეთში მწვავე ხასიათი მიიღო იტალიელთა და გერმანელთა უთანხმოებამ. იტალიელი ოკუპანტები, რომლებსაც გერმანიის სამხედრო სარდლობა საბერძნეთის ძარცვაში მონაწილეობას არ აღებინებს, ახლა ცდილობენ ჰიტლერელთა მიერ „პრემიერის" პოსტზე დაყენებული გენერალი ჩოლაკოგლუ გადააყენონ და იგი თავისი კაცით—საბერძნეთის ერთ-ერთი ყოფილი მინისტრით რაგალისით შესცვალონ. უცხოელთა წრეებში ფიქრობენ, რომ გერმანელები „მტკიცედ მოითხოვენ დატოვებულ იქნას ჩოლაკოგლუ", რომელმაც გერმანელების ერთგულება გამოიჩინა.

## გერმანიის წყალქვეშა ნავებმა აქტივობა გააძლიერეს ატლანტის ოკეანეში

ნიუ-იორკი, 23 თებერვალი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, კარგად ინფორმირებული ინგლისელები ამტკიცებენ, რომ გერმანიამ დიდი შეტევა დაიწყო წყალქვეშა ნავებით ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში, რათა წყნარ ოკეანეში მაშველი ძალების გაგზავნის შესაძლებლობა მოუსპოს ამერიკის ფლოტს. ეს პირნი აცხადებენ, რომ თებერვლის დასაწყისში ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ერთდროულად მოქმედებდა გერმანიის 34 წყალქვეშა ნავი.

## ინგლისის ავიაციის თავდასხმა რაინის ოლქზე

ლონდონი, 22 თებერვალი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 21 თებერვალს, ღამით, ინგლისის ბომბდამშენთა შენაერთები თავს დაესხნენ რაინის ოლქსა და დასავლეთ გერმანიის სხვა რაიონებში არსებულ მთელ რიგ ობიექტებს. მტრის წყლებში ჩაყრილ იქნა ბომბები.

მტრის თვითმფრინავმა 21 თებერვალს, დილით, ბომბები დააყარა ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქს. არის რამდენიმე მსხვერპლი. გამოწვეულია ერთგვარი ზარალი.

## მტრის გემების ჩაძირვა ხმელთაშუა ზღვაში

ლონდონი, 21 თებერვალი (საქდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ 3 თვის განმავლობაში, ნოემბრიდან იანვრის დამლევამდე, ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა და ავიაციამ ჩაძირეს ლიბიაში ტვირთით მიმავალი მტრის გემები, რომელთა საერთო წყალწყვა 148 ათას ტონას შეადგენს.

## ომი წყნარ ოკეანეში

### მოკავშირეთა გაერთიანებული სარდლობის ცნობები

ბატავია, 24 თებერვალი (საქდესი). წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მყოფი მოკავშირეთა გაერთიანებული სარდლობის კომუნიკე აღნიშნავს, რომ 22 თებერვალს მოკავშირეთა ბომბდამშენებმა კვლავ მიიტანეს იერიში იაპონელთა მიერ დაკავებულ აეროდრომზე დენ პასარის რაიონში (ბალის კუნძული). ხუთჯერ იქნა დაბომბილი აგრეთვე იაპონიის გემები ბანკის ყურეში (სუმატრის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან). იაპონიის ერთერთ სავაჭრო 10 ათას ტონაზე მეტი წყალწყვის გემზე ბომბის პირდაპირი მოხვედრის შედეგად ხანძარი გაჩნდა. იმავე რაიონში სხვა გემებს ტყვიამფრქვევები დაუშინეს. იაპონიის ბომბდამშენებს და ავიაგამანადგურებლებს, რომლებმაც 22 თებერვალს იერიში მიიტანეს მოკავშირეთა აეროდრომებზე, დიდი ზარალი მოუვიდათ.

### ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 24 თებერვალი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ ამერიკის ავიაციამ, რომელიც ჰოლანდიის ინდოეთში მოქმედებს, 1 იანვრიდან ჩაძირა იაპონიის სულ მცირე 9 გემი და დააზიანა 24 გემი. ამას გარდა, ჩამოგდებულია ან მიწაზე მოსპობილია იაპონიის 48 თვითმფრინავი.

### ინგლისის ცნობები

ლონდონი 24 თებერვალი (საქდესი). ინგლისის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ბირმაში მდგომარეობა უცვლელია. ბრძოლა გრძელდება მდინარე ბილინგსა და სიტანგს შუა მდებარე რაიონში. ინგლისის ჯარები დიდ ზარალს აყენებენ იაპონელებს.

24 თებერვალს იაპონიის ავიაცია თავს დაესხა მორესბის ნავსადგურს (ახალი გვინეა). ზოგიერთი შენობა დაინგრა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ობიექტები არ დაზარალებულა. 23 თებერვალს ავსტრალიის ავიაციამ იერიში მიიტანა ქალაქ რაბაულისა და მისი ნავსადგურის წინააღმდეგ ახალი ბრიტანეთის კუნძულზე. ცუდი ამინდის მიუხედავად, იერიში წარმატებით დამთავრდა. ბომბები იმ აეროდრომს დაეცა, რომელსაც იაპონელები ბაზად იყენებენ ახალ გვინეასა და ავსტრალიაზე თავდასხმისათვის, აგრეთვე გემების კონცენტრაციისათვის.

### იაპონიის ცნობები

ტოკიო, 24 თებერვალი (საქდესი). ოფიციალური ცნობებით, იაპონიის ჯარებმა 20 თებერვალს, დილით, სუმატრის კუნძულის სამხრეთ ნაწილში დაიკავეს ტანჯონგი. 20 თებერვალს იაპონელებმა კვლავ გადასხეს საპარაშუტო დესანტი კოეპანგის მახლობლად, ტიმორის კუნძულზე. იაპონიის სადესანტო რაზმები მტერთან ბრძოლას ეწევიან.

## ინგლისის ავიაციის თავდასხმა გერმანიაზე

ლონდონი, 23 თებერვალი (საქდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს ცნობით, ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ წინა ღამით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის ტერიტორიას.

22 თებერვალს ღამით გერმანიის თვითმფრინავები ინგლისში არ გამოჩენილან.

## გერმანიას ინფლაციის საფრთხე ემუქრება

სტოკჰოლმი, 23 თებერვალი (საქდესი). გერმანიას ფულის ინფლაცია ემუქრება. „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" სწერს, რომ საბჭოთა კავშირთან ომის განმავლობაში ქაღალდის ფულის რაოდენობა, რომელიც გამოშვებულია გერმანიაში, 13-დან 22 მილიარდ მარკამდე გადიდდა.

## ლექცია

27 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. ათაბეკოვის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი".

ბილეთების მიღება შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში (ლენინის ქ. № 41) დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

## საქდესის გასწორება

თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებაში, რომელიც „კომუნისტის" 23 თებერვლის ნომერში იყო მოთავსებული, მესამე აბზაცის პირველი სამი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „წითელ არმიას პირველად როდი უხდება ჩვენი სამშობლოს დაცვა მტრების თავდასხმისაგან". ამავე ბრძანების მეორე სვეტის მეორე აბზაცის მე-8-9 სტრიქონები (ბოლოდან) უნდა იკითხებოდეს ასე: „... უკუაგდებს გამხეცებულ მტრებს ლენინგრადისაგან".

## თეატრებში

**საოპერა** — 26 თებერვალს — **„სამსონ და დალილა"**, 28 თებერვალს—**„დალატი"**. **რუსთაველის სახელობის** — 26 თებერვალს—**„რღვევა"**, 27 თებერვალს—**„ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ"**. **მარჯანიშვილის სახელობის** — 26 თებერვალს—**„ურიელ აკოსტა"**, 27 თებერვალს — **„მარგარიტა გოტიე"**. **სანქულტურის** — 26 თებერვალს — **ერთმოქმედებიანი პიესების საღამო**, 28 თებერვალს — **„გმირი"**. **მუსიკალური კომედიის** — 26 თებერვალს—**„როზ-მარი"**, 27 თებერვალს — **„ხაჯარათი"**. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 26 თებერვალს — **„გაიდარი"** (მე-6 აბ., დასაწყ. საღ. 6 ს.), 27 თებერვალს—**„გაიდარი"** (1 აბ., დასაწყ. საღ. 6 ს.).

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახ., და ოქტომბერი**—„საბრძოლო კინოკრებული № 8", **დამკვრელი** — „სიმღერა სიყვარულზე", **კომკავშირელი** — „მტკიცე ხასიათის ქალიშვილი", **სპარტაკი** — „ბრძოლა გრძელდება", **ლუქსემბურგის სახ.**— „ტანკისტები", **კომინტერნი** — „საბრძოლო კინოკრებული № 8", **26 კომ. სახ.**—„მეორე ქალი და მწყემსი". **მეცნიერება და ცოდნა** — „შვიდი მამაცი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი


**თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი**
**აცხადებს რიგგარეშე მიღებას ა. წ. 5 მარტამდე**

ინსტიტუტში მიიღებიან ორივე სქესის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო განათლება.

გარდა საერთო სპეციალობისა, კურსდამთავრებულები ღებულობენ სამკურნალო ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტის სახელწოდებას. სწავლის კურსი 3-წლიანია.

ჩარიცხულები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით 215-დან 290 მან. რაოდენობით და საერთო საცხოვრებლით საერთო საფუძველზე.

**მისამართი:** თბილისი, მარის ქ. № 27, ტელეფონი 3-20-88.

32 დირექცია.


თბილისის საბჭოს მთავარი არქიტექტორის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ლ. ჭელიძის დის

**ალექსანდრა იასონის-ასულ ჭელიძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 26/II 5½ ს. ქალაქის II საავადმყოფოდან, დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 162

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან მათი თანამშრომლის

**ალექსანდრა (შურა) იასონის-ასულ ჭელიძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 26/II, ქალაქის II საავადმყოფოდან (ყოფილი ალექსანდროვის), საღ. 5 ს. 30 წ.

თბილისის მოლოტოვის რაიონის ბავშვთა პოლიკლინიკის ადმინისტრაცია და თანამშრომლები იუწყებიან ექიმ

**სტეფანე მიხეილის-ძე ბარდაველის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 26/II 5½ ს. ენგელსის ქ. № 58. 160

თბილისის მე-3 საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან თ. ვასაძის დის

**ნორა ილიას-ასულ ვასაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28/II 7 ს. დაკრძალვა 1/III 2 ს. არაგვის ქ. № 2. 165

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

შე 6416